ოქმი:**ო12. 3725052001**

თარიღი:**21/02/2025**

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 20
თებერვალი
ქ.ოზურგეთი
14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ღაჟონია, ე. გორდელაძე, ბ. მელუა, მ. ვაშალომიძე, დ. მდინარაძე, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის საკითხი, განაცხადა, რომ აღნიშნული გეგმის შემუშავება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაა, იგი კანონით „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგულირდება. აქედან გამომდინარე ყოველ წელს მუშავდება და მტკიცდება სამოქმედო გეგმა, განისაზღვრება მიზანი, ამოცანები და აქტივობები. შემდეგ გააცნო კონკრეტულად სამოქმედო გეგმა, ისაუბრა ადაპტირებულ გარემოზე, შ.შ.მ პირების ჩართულობაზე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და ა. შ., აღნიშნა, რომ 2024 წელს დახმარება გაეწია 979 ბენეფიციარს, მიმდინარე 2025 წლიდან მხედველობით შშმ ბავშვებს, ასევე 3-4 ხარისხის ნეიროსენსორული ხასიათის სმენადაქვეითებულ ბავშვებს(0-18 წლამდე) გაეწევათ ფინანსური დახმარება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სამოქმედო გეგმის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი